ასლ

სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

02 09 2011 N 93.

თბილისი

სტუდენტთა რეგისტრაციის
ვადების შესახებ

სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სწავლების მეორე და შემდგომი, მათ შორის დამატებითი, წლების სტუდენტთა აკადემიური (სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება) და ადმინისტრაციული (საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება და სწავლების საფასურის გადახდა) რეგისტრაცია განხორციელდეს 2011 წლის 5 სექტემბრიდან 24 სექტემბრის ჩათვლით შესაბამის ფაკულტეტებზე;
2. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანის ფუნქციის შემსრულებლებს, ხელი შეუწყონ და ორგანიზება გაუკეთონ სტუდენტთა რეგისტრაციის პროცესს, რისთვისაც შექმნან შესაბამისი პირობები;
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების უფროსს გ.აბრამიშვილს;
4. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორის მ/შ *ზ.გასიტაშვილი*

ვიზები:
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ზ. მაისურაძე

სწორია: